ოქმი:**ო08.37220471**

თარიღი:**16/02/2022**

ოქმი № 5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 14 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

15.00-16.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. მახარაძე, ა.ღლონტი, თ. ტუღუში, ლ. კილაძე, გ. კილაძე, გ. შარაშენიძე, გ. შილაკაძე. ბ. კილაძე, ბ. ქათამაძე

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მე-IV კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის თაობაზე.

მომხს: გ. მამაკაიშვილი

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მზიანის თემში არსებული კულტურის სახლის უსასყიდლო უზურფრუქტით გადმოცემის შესახებ.

მომხს: დ. ჭაკნელიძე.

სხდომის თავმჯდომარემ დ.ჭაკნელიძემ მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მე-IV კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის თაობაზე. საკითხთან დაკავშირებით, ვრცელი მოხსენება გააკეთა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა გ. მამაკაიშვილმა. კომისიის თავმჯდომარემ, დ.ჭაკნელიძემ განმარტა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მზიანის თემში არსებული კულტურის სახლის უსასყიდლო უზურფრუქტით გადაცემის საკითხის განხილვა მოხდება მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტის შემდეგ. რადგან თავდაპირველად, საკითხის შესწავლა, მუნიციპალიტეტის მერიის პრეროგატივაა, ხოლო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სამართლებრივ გადაწყვეტილებას ღებულობს საკრებულო.

გადაწყვიტეს:

1. 2021 წლის ბიუჯეტის მე-IV კვარტლის შესრულების ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად. საკითხი მოსმენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მზიანის თემში არსებული კულტურის სახლის უსასყიდლო უზურფრუქტით გადაცემის საკითხის განხილვა მოხდეს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტის შემდეგ.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი